

შესაძლოა, ეს კეთდება იმისთვის, რომ ნოღაიდელის პარტიამ ჩაანაცვლოს “ქრისტიან-დემოკრატები”

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 16-22 ნოემბერი, № 45, 2009

ააღორძინებენ თუ არა არაბები ქართულ ეკონომიკას მიხეილ სააკაშვილის თხოვნით, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას გაერთიანებულ საემიროებში ზის ბეზამისთან ერთად? რა აზრი აქვს ისეთი ინვესტიციების მოზიდვას, თუკი საერთოდ არ აისახება მოსახლეობის ჯიბეზე? ვინ არის სინამდვილეში ზურაბ ნოღაიდელი და რატომ ეთამაშება ცეცხლს ირაკლი ალასანია? „ქრონიკის“ მიერ დასმულ ამ შეკითხვებს პასუხობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, იყო არაბეთს მიხეილ, მეფე ხალხისგან ნაღანძღი... ამისხენით, თუ ღმერთი გწამთ, უშველიან ეს ჩალმიანი არაბები ჩვენს ბედკრულ ეკონომიკას?

– ხუმრობით, მიხეილი არაბეთში ერთხელაც როსტევანს შეხვდება...

– ისე, თუკი თამარ მეფე ოსი იყო, ხოლო როსტევანი არაბი, მაშინ ჩვენ ან არაბები გამოვდივართ, ან ოსები. გამაგებინეთ, მიშას ვიზიტები ბლეფია თუ მართლაც ჩამოაქვს ინვესტიციები?

– მე ვერ გეტყვით, ეკონომიკური თვალსაზრისით მიშას ვიზიტები ბლეფია თუ არა, არაბებს მართლაც დიდი ფული აქვთ, მაგრამ მთავარია, რაში ჩადებენ. აქამდე არაბული კომპანიები ძირითადად დაკვეებულები იყვნენ უძრავი ქონების შესყიდვით, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ შემოდინდა ეკონომიკაში ფინანსური რესურსი, თუმცა, ეს არანაირად ეკონომიკაზე არ აისახებოდა, რადგამნ პრაქტიკულად წარმოების განვითარება არ ხდებოდა. უბრალოდ ხდებოდა უძრავი ქონები შესყიდვა.

თუ არაბები მომავალში ინვესტიციებს ჩადებენ სხვადასხვა საწარმოების შექმნის მიზნით, რასაკვირველია, ეს ქვეყანას დადებითად დაეტყობა. რატომ არაბები და არა სხვა? ამაზე პასუხის გაცემა არ არის რთული, საქმე იმაში გახლავთ, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილს შეეზღუდა უცხოეთში წასვლის შესაძლებლობები. ჩვენ ყველა კარგად ვხვდავთ, რომ მას არსად არ ეძახიან. ბოლო დროს მისთვის ალბათ მნიშვნელოვანი იყო, როცა პოლონეთის პრეზიდენტმა მიიწვია. ეს არც არის გასაკვირი, კაჩინსკი კვირაში ორი დღე თბილისში იჯდა.

– მაგას მიზამ ისეთი რაღაცა გაუკეთა, საერთოდ აღარ ჩამოდის.

– კაჩინსკი საქართველოში მართლაც შემკრთალია... მოკლედ, სააკაშვილს დიდად აღარსად მიესვლება, არ ეძახიან, არ პატიუბენ და მანაც არაბეთზე აიღო აქცენტი, ოღონდაც რამე გაპიარდეს.

საერთოდ, ქვეყნისთვის ცუდია, როცა ქვეყნის პირველ პირს აქვს შეზღუდული კონტაქტები მსოფლიოს მასშტაბით. ახლა სიტუაციას სხვა კუთხით შევხედოთ, ჩვენ ყველას გვაქვს სოფს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ კარი გაეხსნა რუსულ ინვესტიციებს და ლამის მაგისტრალური გაზსადენიც კი „გაზპრომს“ მივეციდეთ, რომ არა ამერიკელების ჩარევა, ეს ასე მოხდებოდა.

შემდეგ ამერიკელების ძალისხმევამ, ხალხის პროტესტმა ხელისუფლება აიძულა, რუსეთთან ასეთი აშკარა ბიზნეს-ურთიერთობა არ ჰქონოდა. ამიტომ რუსულმა კომპანიებმა დაიწყეს ოფშორულ ზონებში შვილობილი კომპანიების დარეგისტრირება და ისე შემოდოდნენ. პრაქტიკულად თვალის მიდევნება, რუსული კომპანია მოდიოდა თუ არა, ძალიან რთული იყო.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა აგვისტოს ომის შემდეგაც განაცხადა: მართალია, რუსეთთან დიპლომატიური კავშირი გაწვევტილია, მაგრამ მივესალმები რუსულ ინვესტიციებსო. ფაქტობრივად, დღეს შემოდის თუ არა რუსული ინვესტიცია, ამის გაკონტროლება ძნელია ისევე, როგორც ეს იყო გუშინ.

– **შეიძლება, რომ სააკაშვილმა არაბების შირმით ისევ რუსული ინვესტიციები მოიზიდოს?**

– იცით, რა, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუმცა არაბებს თვითონ აქვთ იმდენი ფინანსური რესურსები, რომ მაგათთან ვინმეს თანამონაწილეობა ნამდვილად არ არის სავალდებულო. პრეზიდენტი დადის იქ, სადაც ჯერ კიდევ ჩაესვლება, სადაც ვიღაცა ჰპირდება, რომ რაღაც თანხებს საქართველოში ჩადებს. ამაში მე განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ სხვა გზა არა აქვს, კუთხეშია მომწყვდეული.

– **თქვენ, როგორც მაღალი დონის ეკონომისტი, რაიმე შედეგს ხედავთ?**

– ჯერჯერობით არაბული კაპიტრალის მონაწილეობა გამოიხატება უძრავი ქონების შესყიდვაში. ამ შემთხვევაში შედეგზე ლაპარაკი შეუძლებელია.

– **ერთი რა მაგის პასუხია და ამისხენით, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი დამთავრდა?**

– აქ არის რამდენიმე კურიოზი: ჯერ გვეუბნებოდნენ, საქართველოში არანაირი

კრიზისი არ არისო, ეს იყო სადღაც წელიწადნახევრის წინ. მერე თქვეს, გლობალურმა კრიზისმა გვერდი აგვიარაო, შემდეგ – კრიზისი შემოვიდაო. იცით, საინტერესო რა არის? არავის მსოფლიოში არ უთქვამს, რომ ფინანსური კრიზისი დასრულდაო, მარტო ესენი იბახიან, ეს განაცხადა გილაურმა. თუ საქართველოში არ იყო, რა დამთავრდა? თუ იყო, რანაირად დამთავრდა, როცა კრიზისი გლობალურია, და ის არსად არ დამთავრებულა? რაც შეეხება ჩვენს ეკონომიკურ კრიზისს, ამას აქვს სამი ადგილობრივი მიზეზი: პირველი – ეს არის ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, უცხოელი ინვესტორები შემოდიან, ფულს მხოლოდ უძრავ ქონებაში დებენ, მაგრამ რეალური ეკონომიკა არ ვითარდება. მეორე – ეს არის ის პრობლემები, რომელიც გამოჩნდა სამშენებლო სექტორში. აქ ჩამოყალიბდა არაერთი სამშენებლო კომპანია, რომელიც მუშაობდა “ფინანსური პირამიდის” პრინციპით – მათ არ აქვთ საკუთარი რესურსი, ადებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ, ძველის შესასრულებლად ახალ ვალდებულებას იღებენ. თანაც ბევრი ასეთი პირამიდის პრინციპით მომუშავე სამშენებლო კომპანია დაკავშირებული იყო ბანკებთან, ანუ სამშენებლო კომპანიებმა წამოიკიდეს ბანკებიც. ცალკე ბანკებს ჰქონდათ შეცდომები, ეს უკვე მესამე მიზეზია. საკრედიტო რესურსი რამ გაზარდა, ჩვენს მოსახლეობაში ბევრი ფული დაგროვდა? არა, უბრალოდ კრიზისამდე საკმაოდ იაფი იყო საკრედიტო რესურსი ევროპის ბაზარზე, ჩვენი ბანკები ფულს სესხულობდნენ და საქართველოში გაასესხებდნენ უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით. მაგრამ რაში იძლეოდნენ სესხს? პირველი – მშენებლობისათვის, ანუ ხშირ შემთხვევაში აკრედიტებდნენ ფინანსურ პირამიდებს; მეორე – აკრედიტებდნენ სამომხმარებლო საქონლის შექმნას. გახსოვთ, ტელევიზორები, მობილური ტელეფონები, მაღაზიაში კაცი შესვლას ვერ მოასწრებდა, იმწამსვე შემოეხვეოდა რამდენიმე ბანკის ოფიცერი. პრაქტიკულად ხომ ეს საქონელი საქართველოში არ იყო წარმოებული? ანუ საქართველოში მოზიდული შედარებით იაფი რესურსით ხდებოდა იმპორტის დაკრედიტება, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა არ ვითარდებოდა. ის ხალხი, რომელიც ამ სესხს იღებდა, მისი სამომავლო შემოსავლები ადარ იყო გარანტირებული.

აი, ეს ძირითადი სამი მიზეზი, რომელმაც მიიყვანა ქვეყანა კრიზისამდე. რომც არ ყოფილყო გლობალური ფინანსური კრიზისი, საქართველოს კრიზისი მაინც არ ასცდებოდა. ამაზე მთავრობა არ ლაპარაკობს, იბახის, კრიზისი დამთავრდაო. ეს შეიძლება ითქვას ძალიან დიდი “ფინანსურ-გეოგრაფიული” აღმოჩენაა!

– აი, ახლა გავიგე, რომ ჩვენთან კრიზისი არ დამთავრებულა, პირიქით, უფრო გაღრმავებულა, როგორც პოლიტიკაში.

– მე მგონი, დღეს ოპოზიცია ძიებაშია, ახალი ფორმების ძიებაში, მოთხოვნა იგივეა, პრობლემები ძველია, მაგრამ სხვა ფორმებია საჭირო. ის, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანო, ამას სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, რადგან წინა გამოსვლები შედეგით არ დამთავრებულა. ფაქტია, რომ დღეს არ არიან ლიდერები, რომლებსაც ხალხის ქუჩაში გამოყვანა ადვილად შეუძლიათ. თუმცა, ხვალ რომ ირაკლი ოქრუაშვილი გამოჩნდეს თბილისში, შეიძლება ქუჩები გადაივსოს. ეს კარგია თუ ცუდი, კაცმა არ იცის... ხალხი ვერ ხედავს დღეს იმ ძალას, რომელსაც შეუძლია, ეს ხელისუფლება დაამარცხოს. საზოგადოება ელოდება, რომ გველაშაპი უნდა დაამარცხოს გველაშაპმა. ის გველაშაპი, რომელიც გველეშაპს დაამარცხებს, კიდევ უფრო ცუდი გველეშაპი იქნება. ხალხში გაჩნდა მოთხოვნა გველეშაპზე, ეგ არის ცუდი, ჩვენთან მოთხოვნა არ არის რაინდზე.

ჩვენ დღეს გვეყავს დაქსაქსული ოპოზიცია, რომელიც ცდილობს რაღაც ახალის მოგონებას, თითქმის ყველა გადავიდა პროგრამების წერაზე. ეს თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ საზოგადოებაში გაღვივდა ნიჰილისტური დამოკიდებულება. ახლა, ბოლო ხანებში ძალიან აკრიფა ნოღაიდელის პარტიამ, აკრიფა იმ თვალსაზრისით, რომ ეტყობა, საიდანღაც სერიოზული დაფინანსება მიიღო და საკმაოდ დიდ რეკლამებს უშვებს, მაგრამ მე მეჭვჭვება, ხალხში ნოღაიდელმა პოპულარობა მოიპოვოს. ეს ის ფიგურა არ არის, რომელსაც ის ადამიანი ხმას მისცემს, რომელსაც ახსოვს თუ რა კეთდებოდა საქართველოში 2004-2007 წლებში. ნოღაიდელი ისე აკრიტიკებს სააკაშვილს, გეგონება, როცა უამრავი ბოროტება კეთდებოდა, არც ფინანსთა მინისტრი იყო და არც პრემიერ-მინისტრი.

ახლა ლაპარაკია საპარლემენტო რესპუბლიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამაზე ვინც ბევრი უნდა ილაპარაკოს, ანუ “რესპუბლიკელები” გაჩუმებულები არიან. ამას მხოლოდ ნოღაიდელის ხალხი იბახის. არის კი ნოღაიდელის პარტია ის ძალა, რომელსაც რამის გატანა შეუძლია? შეიძლება არის, შეიძლება ის იგივე მოდელია, რაც ჩვენ გვაქვს „ქრისტიან-დემოკრატების“ სახით. ეგებ ეს კეთდება იმისთვის, რომ 2012 წელს ნოღაიდელის პარტიამ ჩაანაცვლოს „ქრისტიან-დემოკრატები“, არ გიფიქრიათ ამაზე?

– რატომ უნდა ჩაანაცვლონ, ისინიც ვერ დარჩებიან?

– კო, კი, ბატონო, იგივე სცენარით იმოქმედებს ნოღაიდელის პარტია, როგორც „ქრისტიან-დემოკრატები“ მოქმედებენ. დიდი ბოდიში, ჩვენ ვიცით, ეს ხელისუფლება როგორ მოქმედებს, რა პრობლემაა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გაჩუმება? რომ

სჭირდებოდეთ, ცოდვებს ვერ უპოვიან? რომც არ ჰქონდეს, თუ უნდათ, ვერ დააბრალებენ? როცა ასეთი ფსევდოპარტიები აქტიურდებიან, ჩემში ეს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და საერთოდ გაუგებარია. ახლა მეორე საკითხი: ის, რომ ოპოზიციის ნაწილი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, ეს კარგია: თუ შენ პოლიტიკაში ხარ და არჩევნებში არ მონაწილეობ ეს გაუგებარია, მაგრამ არის მეორე მომენტი, თუ ალასანიამ ვერ მოიგო მერის არჩევნები, ჩათვალეთ, რომ ის საპრეზიდენტო კანდიდატი აღარ არის. შენ თუ თბილისი მაინც არ გაძლევს ხმას, საქართველოს პრეზიდენტი ვერ გახდები. ალასანიამ ძალიან სარისკო თამაში წამოიწყო, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარება ნაკლებ სავარაუდოა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გამოსავალი იქნება, რაღაც მომენტში თქვას: დემოკრატიული პროცესები არ მიდის და ვხსნი ჩემს კანდიდატურასო. ხვალ რომ ტარდებოდეს თბილისის მერის არჩევნები, ყოველგვარი გაყალბების გარეშე გიგი უგულავას კონკურენტი არა ჰყავს. შეგახსენებთ, ძალიან ნიჭიერი კაცი იყო გია ჭანტურია, რომელიც მოკლეს, მან პრაქტიკულად არაფრისგან პარტია შექმნა, საკმაო წარმომადგენლობით შედიოდა პარლამენტში, მაგრამ თვითონ დეპუტატიც კი არ გახდა იმიტომ, რომ ის ემზადებოდა პრეზიდენტობისთვის. მე ვეთანხმები ბურჯანაძეს, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ხელისუფლება საარჩევნო კანონმდებლობას შეცვლის, ძალიან ცდება, თუმცა 2008 წლის ზამთარში მას, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ჰქონდა შანსი 2008 წლი ზამთარში პირველი გაყალბებელი არჩევნები ჩაეტარებინა... თქვენ ხედავთ, როგორ გააქტიურდა მერია, როგორ გააქტიურდა საკრებულო, გეუბნებით, ფულს დახარჯავენ და გაიყვანენ გიგი უგულავას. ერთადერთი, რამაც შეიძლება ოპოზიციას გაამარჯვებინოს, ეს იქნება დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“, თუ იქ იტყვიან, რომ აღარ უნდათ უგულავა. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ ხელისუფლების ხელში უფრო ძლიერი მედიასაშუალებებია, რომელიც ხალხს უჩვენებს, რომ ცხოვრება მშვენიერია. სამწუხაროდ, ეს რეალობაა...

გელა ზედელაშვილი